როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს პროფესიის არჩევაში

მაია ფირჩხაძე

პროფესიის სწორად შერჩევაზე და დაგეგმვაზე ადამიანის მთელი შემდგომი ცხოვრებაა დამოკიდებული, ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ადამიანის კეთილდღეობის ზრდა კი წარმოქმნის ბევრ ახალ იდეას, ცვლის ძველ წარმოდგენებს. შესაბამისად, მოსწავლეებსაც უჩნდებათ შეკითხვები, სად შეიძლება ინფორმაციის მიღება მომავალი პროფესიის შესახებ. როგორც წესი, მათი ინფორმაციის ძირითადი წყაროს წარმოადგენენ ახლობლები და მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, მაგრამ მიღებული ინფორმაციის შევსებაში, გააზრებასა და საკუთარი შესაძლებლობებისთვის შეფარდებაში დიდია კლასის დამრიგებლის როლი. მისი საქმიანობის აღწერილობაში ერთ-ერთი გამოკვეთილი ადგილი უჭირავს მოსწავლეებისთვის დახმარებას მომავალი პროფესიების არჩევაში, ისეთი სასწავლო გარემოს ორგანიზებაში, რომელიც მათ ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს სამომავლო მიზნების დასახვაში, საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენის განმტკიცებაში, მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთაში, ოპტიმისტურად განაწყობენ მათ და რეალური გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარებიან.

კლასის დამრიგებლის საქმიანობის ფორმები და მეთოდები, მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკლებეფექტური იქნება, თუ თავად მოსწავლეც არ გააცნობიერებს ამ პრობლემის მნიშნელობას და თავად არ იქნება დაინტერესებული პროფესიის არჩევით. კონკრეტულად როგორ შეიძლება დავეხმაროთ მოსწავლეს პროფესიის არჩევაში? ზოგადად, პროფესია, სულ ცოტა, სამ ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

- ის უნდა იყოს საინტერესო;
- მოთხოვნადი შრომის ბაზარზე;
- შეესაბამებოდეს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.

კლასის დამრიგებლის საქმიანობა მოსწავლეთათვის პროფესიის შერჩევაში დასახმარებლად ისე უნდა დაიგეგმოს, რომ

- გამოიწვიოს მოსწავლის დაინტერესება - შეიძინოს პროფესია;
- მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს აქტიური პოციზია მომავალი პროფესიის მიმართ;
- ორგანიზება გაუკეთოს მოსწავლის ინფორმირებას მათთვის საინტერესო პროფესიათა მახასიათებლებზე;
- ასწავლოს მოსწავლეს სწორად გაანალიზოს და შეაფასოს თავისი შესაძლებლობები.

ამ მიზნით, კლასის დამრიგებელმა საქმიანობა შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაყოს: **გამოიყენოს სწავლის სხვადასხვა სტრატეგიები** (მაგალითად, როლური (დაწყებით საფეხურზე) და საქმიანი თამაშები (საბაზო და საშუალო საფეხურზე), **ითანამშრომლოს სკოლის ფსიქოლოგთან** (მოსწავლეთა ინტერსების სფეროს, შესაძლებლობების და საჭირო უნარების გამოკვეთა/გამომუშავებისთვის), **ჩაატაროს ღონისძიებები** (მაგალითად, კლასის საათი, სადაც განიხილავენ ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიის შესახებ), **დაგეგმოს კონსულტაცია სპეციალისტებთან და შეხვედრები კურსდამთავრებულებთან, ჰქონდეს კომუნიკაცია მშობლებთან,** რომლებიც, ჩვეულებრივ აქტიურ მონაწილეობას იღებენ

თავიანთი შვილების მომავალი პროფესიის არჩევაში (თუმცა, არცთუ იშვიათად, ამას ისე აკეთებენ, რომ შვილების რეალურ შესაძლებლობებს არც იცნობენ, ამიტომ კლასის დამრიგებლის მიერ ორგანიზებული პროცესი, რომელიც მოსწავლეს მომავალი პროფესიის არჩევაში დაეხმარება, აუცილებლად გულისხმობს მშობლებთან აქტიურ ურთიერთობას).

სასურველია, კლასის დამრიგებელმა საქმიანობა ასაკობრივი თავისებურებების და სწავლის საფეხურების გათვალისწინებით დაგეგმოს. მაგალითად: VIII კლასში მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ პროფესიათა შინაგან მიმზიდველობაზე და ხშირად ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა სპეციალობა მოსწონთ, ამიტომ მნიშვნელოვანია დავეხმაროთ პროფესიათა რეალური შინაარსის გაცნობაში; IX კლასში მოსწავლეები კიდევ უფრო დაწვრილებით ეცნობიან პროფესიებს, ცდილობენ შეაფასონ ისინი; X-XII კლასში კი რეალურ პრაქტიკულ შინაარსზე უნდა გავამახვილებინოთ ყურადღება, მოსწავლემ უნდა შეძლოს თავისი თავი წარმოიდგინოს რომელიმე პოზიციაზე, მის პრაქტიკულ ნაწილზე, რისთვისაც კლასის დამრიგებელმა სათანადო პირობებით უნდა უზრუნველყოს მოსწავლე.

შესაძლებელი და სასურველია ამ მიმართულებით კლასის დამრიგებელმა ზოგადად დაგეგმოს თავისი საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. მაგალითად, მისი სამუშაოს აღწერილობა შესაძლებელია ასეთი შინაარსის იყოს:

I ეტაპი:

VIII კლასი	**თარიღი**	**ღონისძიება**
	სექტემბერი	„მე და ჩემი ოცნება - როგორ ავიხდინო ის?“
	ოქტომბერი	„რა არის პროფესია?“; მშობელთა კრება მოსწავლის ინტერესების შესახებ
	ნოემბერი	„პროფესიათა კლასიფიკაცია საგნის, მიზნის, პირობებისა და საშუალებების გათვალისწინებით“
	დეკემბერი	„როლური თამაშების“ ორგანიზება
	იანვარი/ თებერვალი/ მარტი	ექსკურსია რომელიმე საწარმოში/ქარხანაში/ ინსტიტუტში/ლაბორატორიაში/ფილმის გადასაღებ მოედანზე და სხვ., რომელიმე კონრეტული პროფესიის გასაცნობად
	აპრილი	პრეზენტაცია იმის შესახებ, რაც ექსკურსიაზე ნახეს
	მაისი/ ივნისი	პროექტი -„ჩემი მომავალი პროფესია“

II ეტაპი:

IX-X კლასი	**თარიღი**	**ღონისძიება**

	სექტემბერი	„საქმიანი თამაშების“ ორგანიზება
	ოქტომბერი/ ნოემბერი	პროფესიათა ანალიზი - პრეზენტაციები სხვადასხვა პროფესიებზე
	დეკემბერი	„ინტერესი და პროფესია; “ „ტემპერამენტი და პროფესია“
	იანვარი	„ღირებულებები და პროფესია“
	თებერვალი	„პროფესიონალი ადამიანი“
	მარტი	„რეგიონის პროფესია - გამოვიკვლიო ჩემი მხარის საჭიროებები“
	აპრილი	„ჩემი ქვეყნის პროფესია - გამოვიკვლიო მშობლიური მხარის საჭიროებები“
	მაისი	„დიდი პერსპექტივის პროფესიები“
	ივნისი	„ჩვენი არჩევანი - დაიცავი შენი პროფესია“

III ეტაპი:

XI-XII კლასი	**თარიღი**	**ღონისძიება**
	სექტემბერი/ ოქტომბერი	პროფესიათა მოძიება
	ნოემბერი	პროფესიათა რანჟირება ინტერესების მიხედვით; მშობელთა კრება ამ მიმართულებით
	დეკემბერი	შრომის ბაზრის გაცნობა და შეხვედრების ორგანიზება საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან
	იანვარი	„სამუშაოს ძიებაში - შექმენი შენი მომავალი“
	თებერვალი	„თანამედროვე“ პროფესიები; „წარმატებული კარიერის საიდუმლოება“
	მარტი	შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
	აპრილი	პროფესიის არჩევა; შესაფერის დაწესებულებებში სტუმრობა და ზოგადი პრაქტიკის გაცნობა
	მაისი	„დავიცვათ ჩვენი პროფესია“

ამ პროგრამის განხორციელებისას კლასის დამრიგებელი აქტიურად თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან, მათთან უშუალო კონტაქტით ქმნის სამუშაო გეგმას, გამოავლენს თითოეული მოსწავლის ინტერესებს, იღებს კონსულტაციებს კონკრეტული პროფესიების შესახებ და იღებს რჩევებს, სკოლა-მოსწავლე - ოჯახი-საზოგადოების კავშირით კი მოსწავლე აუცილებლად მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას და ცხოვრებისეულ პროფესიას სწორად აირჩევს.